



ძილის პრობლემების კვლევა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე  
ბავშვებში

ლიზიკო იორდანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობის(ასა) მქონე ბავშვების ძილის დარღვევებისა და კვირის განმავლობაში მათი სხვადასხვა ინსტრუქციულ აქტივობებში ჩართულობის ხანგრძლივობას შორის კავშირის პოვნა, ასევე ასა-ს მქონე და ტიპიური განვითარების ბავშვების ძილის ხარისხის შედარება ქართულ პოპულაციაზე. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩემს სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 24 და ტიპიური განვითარების 50 ბავშვი, რომელთა ასაკიც განსაზღვრული იყო 4-დან 10 წლამდე. კვლევაში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები.

ძილის პრობლემებისა და მათი ხასიათის გამოსავლენად გამოვიყენე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ძილ-ღვიძილის კვლევითი ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარი (იხ.დანართი 1.), რომელიც ძილის შესახებ მოიცავს დეტალური კითხვებს. მისი შევსება რეკომენდირებულია ბავშვის ძილზე მინიმუმ ორ კვირიანი დაკვირვების შედეგად.

კვირის განმავლობაში ასა-ს მქონე ბავშვების კონტროლირებად თუ არაკონტროლირებად გარემოში დატვირთვის გასაგებად გამოვიყენე მშობლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი ცხრილი (იხ. დანართი2), სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა ის გარემო, რომელშიც ინტეგრირება უწყვედათ ამ ბავშვებს კვლევის მიმდინარეობის პერიოდში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ძილის ხარისხი განსხვავდება ტვ ბავშვებსა და ასა-ს მქონე ბავშვებში.

კვლევამ ასევე გამოავლინა კავშირი ასა-ს მქონე ბავშვების ძილის ხარისხსა და მათ ინსტრუქციულ დატვირთვას შორის. აღმოჩნდა, რომ კვირის განმავლობაში ნაკლებად დატვირთული განრიგის მქონე ბავშვების

უმრავლესობას ძინავს კარგად, მეტად დატვირთული განრიგის მქონე ბავშვების დიდ ნაწილს კი აღენიშნება ძილის პრობლემები. ამ პრობლემების მქონე ბავშვების მშობლებთან ინდივიდუალური ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ მათი კვირის განრიგი დღეების მიხედვით არაპროპორციულადაა გადანაწილებული, რაც სავარაუდოდ იწვევს მათ არასტაბილურ ძილს. ამის დასადგენად, უმჯობესი იქნება თითოეული დღის დატვირთვისა და შემდგომი ღამის ძილის ხარისხის უფრო დეტალური გამოკვლევა.